# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №18

## 28 მარტი 2008 წელი

დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულებაში დამატების შეტანის შესახებ;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების პუნქტი 6.2.1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6.2.1. დისერტაციის შესრულებას, რომელიც უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ხასიათდებოდეს სამეცნიერო პრობლემის აქტუალურობის კვლევის სიახლით და არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მეცნიერების შესაბამისი დარგისათვის;
დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით. სადისერტაციო საბჭოს ნებართვით დასაშვებია მისი სხვა ენაზე შესრულება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს თავჯდომარე, პროფ. ა. მოწონელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მდივანი, პროფ. გ. სალუქვაძე